განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 21 მაისი 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10 ივნისი 2019

თბილისი

201-

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისიტრირების მაგისტრი Master of Business Administration (02)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ღაღანიძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი,ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ჭინჭარაშვილი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა კიკნაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აღნიშნულ პროგრამას მიღებული აქვს პირობითი ერთწლიანი აკრედიტაცია. პროგრამა წარმოადგენს ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამების იმ სახეს, სადაც არ ხდება სპეციალიზაცია სხვადასხვა ფუნქციონალური ველების მიხედვით (მაგ. ფინანსები, მარკეტინგი ან/და სხვა). ამდენად პროგრამა გათვლილია ზოგადი პროფილის მენეჯერებზე. პროგრამაში სავალდებულო და არჩევითი კურსების თანადობა შემდეგია: 65 კრედიტი სავალდებულო, ხოლო 15 კრედიტი არჩევითი. 30 კრედიტი მინიჭებული აქვს სამაგისტრო ნაშრომს (კვლევით კომპონენტს).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 21 მაისს. ვიზიტის წინ სააკრედიტაციო ჯგუფის წევრები და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი შეხვდნენ ცენტრში, სადაც ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. ექსპერტებმა შეაჯერეს წინასწარი მოსაზრებები.
21 მაისს ვიზიტი დაიწყო დათქმულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ვიზიტი მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ჩატარდა ყველა გათვალისწინებული შეხვედრა. ექსპერტებს ქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტებს და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ვიზიტის განმავლობაში უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. მთლიანად ვიზიტი მიმდინარეობდა საქმიან, კოლეგიალურ გარემოში

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა მიერ პროგრამა შეფასებული იქნა, სრული შესაბამისობა - 1.1;2.1;2.2;2.4;2.5;2.6;4.1;4.2;4.3;4.4;5.1;5.2;5.3.

მეტწილად შესაბამისობა - 1.2;2.3;3.1;3.2.

- **რეკომენდაციები**

○ სასწავლო კურსები, როგორებიცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, მენეჯერული აღრიცხვა, რისკების მართვა, ოპერაციული მენეჯმენტი, საერთაშორისო კონკურენცია და ელექტრონული კომერცია, მოითხოვს განახლებას სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში, რადგან წარმოდგენილია 2011, 2009, 2007, 2010, 2011 წლების ლიტერატურა, შესაბამისად.

- მიზანშეწონილია სავალდებულო ლიტერატურაში წარმოდგენილი იყოს 1, მაქსიმუმ 2 ლიტერატურა. სხვა შემთხვევაში, სილაბუსში მიეთითოს კონკრეტული გვერდები, რომელი მასალის შესწავლაც მოეთხოვება სტუდენტს, თითოეული წყაროდან კონკრეტული თავის მიხედვით.

- დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროფილის შესაბამისად.
- რეკომენდირებულია, უნივერიტეტმა შეიმუშაოს და განავითაროს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში ჩართულობა.
- რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის დარგთან შესაბამისობაში მოყვანა და გაძლიერება.რეკომენდირებულია, ნაშრომები სრულ შესაბამისობაში მოვიდეს „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულებასთან“.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, პროგრამის მიზნის ფორმულირების მოდიფიკაცია შემდეგი სახით: ,,პროგრამის მიზანია ზოგადი სპექტრის ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტების გამოშვება“ მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და აღრიცხვის სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტების მომზადების ნაცვლად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პირობითი აკრედიტაციის მიღების შემდეგ უსდ-ს ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი მუშაობდა რეკომენდაციების გამოსწორებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ პირობითი აკრედიტაციის დროს გამოთქმული და სააკრედიტაციო საბჭოს მიერ გაზიარებული რეკომენდაციებიდან განმეორებითი აკრედიტაციისათვის უსდ-მ შეასრულა რეკომენდაციების უდიდესი ნაწილი (15 რეკომენდაციიდან სრულადაა შესრულებული 12; ნაწილობრივაა შესრულებული რეკომენდაციები პოტენციური დამსაქმებლების უფრო სრულად ჩართვასთან დაკავშირებით პროგრამის განვითარებაში და ინტერნაციონალიზაციის რეკომენდაციები).

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის მომზადება, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და აღრიცხვის სფეროში. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზანი ასახავს, იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელსაც იძენს კურსდამთავრებული პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ათვისებისას. კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებით და პასუხისმგებლობით მომზადებულია ცვალებად გარემოში საქმიანობის გასახორციელებლად. პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს, ასევე, სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მოემზადოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხის გაძლიერებაზე, რაც ჩანს პროგრამაზე მიღების წინაპირობებში (ინგლისური ენის B2 დონე), სასწავლო კომპონენტების ინგლისურენოვან ძირითად და დამხმარე მასალებში, ისეთი სასწავლო კურსის შეთავაზებაში, როგორიცაა ,,საქმიანი კომუნიკაციები ინგლისურ ენაზე“, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვის ხელშეწყობაზე, რაც ჩანს მათ აქტივობებსა და სკოლის ბიუჯეტის მუხლების გაცნობისას და ა.შ. პროგრამის მიზნები, რომლებიც გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სამაგისტრო პროგრამების კატალოგში, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისია https://sdasu.edu.ge/ka/chven-shesakheb/misia; ○ შრომის ბაზრის ანალიზი; ○ სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალები; ○ სამაგისტრო პროგრამების კატალოგი https://sdasu.edu.ge/media/1001542/2018/07/29/804a0c7db5a25cd2e2016fd3c2eafcb0.pdf ; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, თვითშეფასების ჯგუფის

წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ **სასურველია, პროგრამის მიზნის ფორმულირების მოდიფიკაცია შემდეგი სახით: „პროგრამის მიზანია ზოგადი სპექტრის ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტების გამოშვება“ მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და აღრიცხვის სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტების მომზადების ნაცვლად.**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენისთვის მზადების პერიოდში სამუშაო და თვითშეფასების ჯგუფმა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან ერთად შეიმუშავეს და დაამტკიცეს პროგრამული ცვლილებების პაკეტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო 2018 წლის 18 ივლისის საგანამათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N 82 გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციები. კერძოდ, კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ბიზნესში“, ხოლო კვლევის პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად - „მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ბიზნესში Excel-ისა და SPSS- ის გარემოში“; დაკონკრეტდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სილაბუსში ნაშრომის განმეორებით დაცვაზე დაშვების პროცედურის ჩანაწერი; განახლდა და დაემატა ინგლისურენოვანი ლიტერატურა მთელ რიგ სასწავლო კურსებში; სასწავლო კურსების სილაბუსებში დაკონკრეტდა ავტორი და ლექტორი; განისაზღვრა პრაქტიკის წინაპირობა; გამრავალფეროვნდა სწავლების მეთოდები, რეფერატების, პროექტების შესრულების და გუნდური მუშაობის კომპონენტების დამატებით; პრაქტიკის სილაბუსში დეტალურად ჩაიშალა შეფასების სისტემა და სხვა.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. იგი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულების შედეგად. პროგრამის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. მასში გათვალისწინებულია საგანამანათლებლო და შრომის ბაზრების მოთხოვნები და ტენდენციები, რაც კურსდამთავრებულს კონკურენტუნარიანს გახდის კარიერული ზრდის პროცესში.

პროგრამების შედეგების განსაზღვრის პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე: აფილირებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. მათი ერთობლივი მუშაობის და შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე განისაზღვრა დარგში არსებული საჭიროებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ტრანსფერული და პიროვნული უნარები, რომელიც უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენენ კომპანიების წარმატებულ ფუნქციონირებაზე. პროგრამის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, რაც დადასტურდა კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგად.

პროგრამა გადის 9 ძირითად შედეგზე. თითოეულ შედეგს აქვს შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მექანიზმი. ამასთან, განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. პროგრამაში წარმოდგენილია შედეგების რუკა.

თავის მხრივ, თითოეული სასწავლი კურსის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის შედეგებთან. სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები დგინდება სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის მიერ.

სწავლის შედეგების განსაზღვრის და შეფასების მექანიზმები და პროცედურები ასახულია შემდეგ დებულებებში: ,,სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულება“ და ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები;

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა;
- „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულება“;
- „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში/განხილვაში დამსაქმებელთა და კურს-დამთავრებულთა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსები, როგორებიცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, მენეჯერული აღრიცხვა, რისკების მართვა, ოპერაციული მენეჯმენტი, საერთაშორისო კონკურენცია და ელექტრონული კომერცია, მოითხოვს განახლებას სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში, რადგან წარმოდგენილია 2011, 2009, 2007, 2010, 2011 წლების ლიტერატურა, შესაბამისად.
- მიზანშეწონილია სავალდებულო ლიტერატურაში წარმოდგენილი იყოს 1, მაქსიმუმ 2 ლიტერატურა. სხვა შემთხვევაში, სილაბუსში მიეთითოს კონკრეტული გვერდები, რომელი მასალის შესწავლაც მოეთხოვება სტუდენტს, თითოეული წყაროდან კონკრეტული თავის მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას: ,,სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2 დონე) შედეგების საფუძველზე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა“. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. ინფორმაციის განთავსება სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაციის ვადების, წარმოასდგენი დოკუმენტების ნუსხის და სპეციალობის საგამოცდო საკითხების შესახებ შესაბამის ვადებში განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს პროცედურებს შუძლიათ გაეცნონ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ და ,,სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წესში“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);

- „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“; https://sdasu.edu.ge/media/1001542/2018/06/14/66bcbdc01a91b9b441b80952d1688d7a.pdf;
- ვებ-გვერდი www.sdasu.edu.ge.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავდა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების (2018 წლის 15 ოქტომბერი, N273) საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან,

მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. სწავლება და კვლევა მიმდინარეობს მეთოდების გაღრმავების მიმართულებით.შესაბამისად, შედეგებიც ვითარდება ,,გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება" საფეხურების მიხედვით. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, მოიცავს 120 ECTS კრედიტს, საიდანაც 90 არის სასწავლო (65 სავალდებულო, 15 - არჩევითი/თავისუფალი), ხოლო 30 ECTS კრედიტია. სასწავლო კრედიტებიდან 10 ECTS კრედიტი გამოყოფილია პრაქტიკის კომპონენტზე. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი). უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია"; ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა; ○ პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი მასალები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.sdasu.edu.ge; ○ თვითშეფასების კითხვარი და თანდართული მასალები; ○ სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინტერვიურების შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შესაბამისობაშია ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრულია შედეგების მიღწევისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება.

პროგრამის თითოეული კომპონენტის სილაბუსში წარმოდგენილია სასწავლო პროცესისთვის და შედეგის მიღწევისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია.

შეფასების პროცესში სასწავლო კურსების ნაწილი ,,მარკეტინგის მენეჯმენტი“. ,,პროექტის მენეჯმენტი“ და ,,ლოჯისტიკური მენეჯმენტი ბიზნესში“ შედარდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მსგავსი სასწავლო კურსის სილაბუსებს. ადგინდა, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, თუმცა როგორც აღინიშნა 1.2 ქვესტანდარტის შეფასებისას, სასწავლო კურსები, როგორებიცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, მენეჯერული აღრიცხვა, რისკების მართვა, ოპერაციული მენეჯმენტი, საერთაშორისო კონკურენცია და ელექტრონული კომერცია, მოითხოვს განახლებას სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში, რადგან წარმოდგენილია 2011, 2009, 2007, 2010, 2011 წლების ლიტერატურა, შესაბამისად.

შესრულებული სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის და უშუალოდ ნაშრომების გაცნობისას გამოვლინდა, შრომების ნაწილი მოიცავს ეკონომიკის მიმართულების საკითხებსაც. მაგალითად, ,,საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირების საკითხები“, ,,საქართველოში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ანალიზი“ , ,,საქართველოში სოფლის მეურენობის განვითარების მხარდამჭერი პროგრამების ანალიზი“ და ა.შ. ექსპერტებისათვის, ისევე როგორც უსდ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ცხადია, რომ ხშირად თემატიკის გამიჯვნა ძალიან

რთულია და ამდენად ეს პროცესი მოითხოვს ძალიან გულდასმით მუშაობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა; ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა www.emis.sdasu.edu.ge ; ○ სამაგისტრო ნაშრომები და მათი თემატიკა; ○ სამაგისტრო პროგრამის და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროფილის შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და

ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. დეტალური პროცედურა და პრაქტიკის კომპონენტის ყველა ელემენტი ასახული პრაქტიკის სილაბუსში. დაწესებულებამ წარმოადგინა 7 ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან. კვლევითი უნარების განვითრებას ემსახურება სასწავლო კომპონენტებში წარმოდგენილი კვლევითი მეთოდები და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების კომპონენტი. ამასთან უნივერსიტეტი ორგანიზებას უკეთებს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებს და დასაქმების ფორუმებს, ბიზნესის და სოციალური მეცნიერებების სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ფინანსური საშუალებები ბიზნეს პროექტებზე და სტუდენტურ აქტივობებზე, რომელიც მათ გამოუმუშავებს შრომის ბაზრისთვის მოთხოვნად უნარებს, როგორებიცაა თვითმენეჯმენტი, ორგანიზება, გუნდური მუშაობა, ინიციატივა, მოქნილობა, ინდუვუდუალიზმი და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულება“; ○ პრაქტიკის სილაბუსი; ○ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; ○ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები; ○ „სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“ https://sdasu.edu.ge/media/1001542/2018/07/30/782c66b8c195a19a918648e63fbbb745.pdf; ○ „სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების დებულება“ https://sdasu.edu.ge/media/1001542/2018/07/31/081bd475cb8cb2bab4db7c368af8a3c8.pdf; ○ ღონისძიებების ამსახველი მასალები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის აღწერილობაში წარმოდგენილია შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისისა კანონმდებლობასთან, მკაფიოდ არის განსაზღვრული და სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ. ისინი ორიენტირებულია სამიზნე მაჩვენებლების მიღწევაზე. სწავლების პროცესში სწავლა - სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) განსაზღვრულია სწავლა/სწავლების შემდეგი ფორმები: ინტერაქტიური ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევის შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსია/დებატებს, გონებრივ იერიშს (Brain storming), წერით მუშაობას. რაც შეესაბამება სწავლების საფეხურს და სასწავლო კურსის მისაღწევ შედეგებს. შესაბამისად, შერჩეული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს როგორც პროგრამის კონკრეტული კომპონენტის, ისე მთელი პროგრამის შედეგების მიღწევას. შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამჭვირვალეა და სტუდენტები იცნობენ მათ. უსდ-ში არსებობს შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი, რომელსაც ასევე იცნობენ პროგრამის სტუდენტები.

უსდ-ს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი. სამაგისტრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამასთან, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლებიც ატვირთულია სასწავლო პროცესის მართვის

ელექტრონულ სისტემაში. შესაბამისად, შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. სტუდენტს აქვს შდეგების შეფასების აპელაციის შესაძლებლობაც. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. ხარისხვის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელები ახორციელებენ შეფასების შედეგების ანალიზს, რათა მისი შედეგები გამოიყენონ სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- პროგრამის სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა www.emis.sdasu.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის თითოეული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და ემსახურება, როგორც სტუდენტის მიღწევების კონტროლს, ასევე სწავლის პროცესში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის უკუგების უზრუნველყოფას. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა მიიღწეოდეს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებით რაც ასახულია სწავლის შედეგების რუკაზე. შეფასების მეთოდები და ფორმები ადაპტირებულია სასწავლო კურსთან და კომპონენტთან. პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების ერთგვაროვანი მეთოდების წილისგან შედგება და მოიცავს სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასებას. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებულის ქულა და მოითხოვოს შეფასების გადახედვა. ვიზიტისას აღნიშნული პროცედურა სტუდენტების მიერ შეფასდა გამჭვირვალე და მოქნილ მექანიზმად. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად..
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; ○ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში, ფაკულტეტზე, სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაცია. ამასთან, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ სამუშაო დღის განმავლობაში, შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია, როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალისგან სასწავლო პროცესის, საგანმანთლებლო პროგრამის და ადმინისტრაციულ საკითხების შესახებ.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან და პროგრამის ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; სტუდენტებს აქვთ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებში მონაწილეობის მწირი შესაძლებლობა (2 მემორანდუმი); საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით პროგრამა საჭიროებს დამატებით მუშაობას, რათა სტუდენტებმა გამოიყენონ ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი (მაგ: სამეცნიერო ნაშრომები, კონფერენციები, გამოფენები, პრაქტიკა და ა.შ.) პროგრამის განხორციელების პერიოდში, არ არსებობს.

აკადემიური პერსონალისადმი აუცილებელი მოთხოვნაა სავალდებულო ყოველკვირეული საკონტაქტო დატვირთვის პარალელურად საკონსულტაციო საათის ჩატარება. საკონსულტაციო საათები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში. გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ კმაყოფილები არიან საკონსულტაციო მომსახურებით, რომელსაც იღებენ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში.

უსდ_ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრო შეტყობინების მეშვეობით. ნახოს აკადემიური ჯგუფების ცხრილი, ლექტორების ცხრილი, აუდიტორიების დატვირთვა. აგრეთვე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს სდასუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია.

მაგისტრანტთა და კურსდამთავრებულთა პრაქტიკის, სტაჟირებებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტსა და ფაკულტეტზე მიმდინარეობს სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეხვედრები, იმართება დასაქმების ფორუმები და ტარდება პრეზენტაციები დასაქმების/პრაქტიკის ობიექტების საქმიანობისა და მათთან არსებული ვაკანსიების შესახებ.

დამსაქმებელმა ინტერვიუს დროს ხაზი გაუსვა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის სტუდენტების და კურსდამთავრებულების მომზადების დონეს, თეორიული კუთხით. გასაუმჯობესებელია პრაქტიკული უნარები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები;
- შრომის ბაზრისა კვლევა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და

სტაჟირების განმახორციელებლებთან.
რეკომენდაციები: ◦ რეკომენდირებულია, უნივერიტეტმა შეიმუშაოს და განავითაროს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; ◦ რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში ჩართულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მაგისტრანტის დაშვების სავალდებულო პირობაა დაცვის მომენტისთვის 90 კრედიტის (მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსებში და პრაქტიკულ კომპონენტში) მოპოვება, სამეცნიერო ხელმძღვანელის და ანტიპლაგიატის დადებითი დასკვნები. დებულების მიხედვით, სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) ან მოწვეული სპეციალისტი. ხელმძღვანელს უნდა ქონდეს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკასთან/ მიმართულებასთან შესაბამისი კვლევის გამოცდილება ან/და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი. მაგისტრანტმა საკვალიფიკაციო თემის შერჩევა და კვლევა სკოლის კვლევის მიმართულებების ფარგლებში, სტუდენტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების შესაბამისად უნდა განახორციელოს. თუმცა, ზოგიერთი ნაშრომის თემატიკა და კვლევითი კომპონენტი საჭიროებს დარგთან შესაბამისობაში მოყვანას. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უნდა დაეხმაროს მაგისტრანტს ნაშრომის გეგმის შედგენაში, თანამედროვე რელევანტური ლიტერატურის, უახლესი ინფორმაციის, მონაცემების და კვლევის მეთოდების შერჩევაში, მისცეს მას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. მიუხედავად აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის (რაც დასტურდება, როგორც სტუდენტებთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუს პროცესში, ისე აკადემიური პერსონალის ნაშრომებისა და კვალიფიკაციის შესწავლისას), ვიზიტის ფარგლებში ნანახი ზოგიერთი სამაგისტრო ნაშრომი არ იყო შესაბამისობაში. მაგალითად: ხელმძღვანელი წარმართავს კვლევითი კომპონენტების შესრულებას, სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებას და დაცვისთვის მომზადებას. მაგრამ, ზოგიერთ სამაგისტრო ნაშრომში საჭიროებდა საკვლევი თემატიკის დაზუსტებას, სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას; რიგ შემთხვევებში დარღვეულია ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია; ნაშრომებში არ არის გამოყენებული უახლესი ინფორმაცია, თანამედროვე ლიტერატურა, სტატიები, პუბლიკაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა; ○ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ სამაგისტრო ნაშრომები; ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ პროგრამაში ჩართული პერსონალის მონაცემები (CV).
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის დარგთან შესაბამისობაში მოყვანა და გაძლიერება. ○ რეკომენდირებულია, ნაშრომები სრულ შესაბამისობაში მოვიდეს „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულებასთან“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე,

სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განმახორციელებელი პირები თავად ფლობენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციას. ეს დასტურდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობით და აკადემიური პერსონალის შემთხვევაში ბოლო 5 წელში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, ხოლო მოწვეული პერსონალისთვის - სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი გამოცდილების, ცოდნის და კომპეტენციის არსებობით, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით, ნაშრომებით და სხვ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში მოქმედებს „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, ასევე „აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“. აღნიშნულის მიხედვით უზრუნველყოფილია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვა და სხვა მათზე დაკისრებული მოვალეობების სათანადოდ შესრულება. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; კერძოდ: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 14 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი. სულ აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აქტიური სტუდენტების რაოდენობასთან არის 17/20. პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომელთაც სკოლის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო. მათ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისა და ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ისინი გარდა კვლევითი საქმიანობისა ჩართულები არიან პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში, ასევე სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. აღნიშნული მიმართლება დაკომპლექტებულია სათანადო რაოდენობის და კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში, გააჩნიათ სტუდენტებთან შესაბამისი კომუნიკაცია, უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებისთვის სათანადო პირობების შექმნას. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასება ხორციელდება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი;
- აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებები;
- მოწვეული პერსონალის CV;
- მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვის შედეგები.
- ინტერვიურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“, რომლის მიხედვითაც რეგულარულად ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება და შედეგების ანალიზი. აღნიშნული ეყრდნობა პერსონალის მიერ წარდგენილ თვითშეფასების ანგარიშს, სტუდენტთა გამოკითხვებს და მონიტორინგს. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის შეფასება ხდება შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. შეფასების შედეგების განხილვა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, ისახება შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისებების ღონისძიებები.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. პროგრამის განმახორციელებლი აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად გადაიდგა ნაბიჯები, კერძოდ ამოქმედდა „აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“, სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა ტრენინგები. გარდა ამისა უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი, რომლითაც განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშესაწყობად უნივერსიტეტში შექმნილია შესაბამისი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები და სხვ.).

ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული უნდა იქნას ინტერნაციონალიზაციის პროცესებში ჩართვის მეტი შესაძლებლობები, გაიზარდოს საერთაშორისო პარტნიორთა რიცხვი (წარმოდგენილია მხოლოდ ორი მემორანდუმი). აღნიშნული რეკომენდაცია ჯერ კიდევ 2018 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც ფიგურირებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, კონფერენციები და სხვ.);
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

○

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტისთვის განკუთვნილი ტერიტორია, სათანადო ინვენტარით და კომპიუტერული ქსელით აღჭურვილი აუდიტორიები, რომელთაც ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს IT სამსახური, ლაბორატორიები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, სპორტული დარბაზი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ტელევიზია, სადაც "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ჩართულები არიან სხვადასხვა ეკონომიკურ და ბიზნეს სფეროში არსებულ საკითხებზე გადაცემების მომზადებაში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სათანადო

ტექნიკით, წიგნადი ფონდით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და პროექტის „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის - eIFL" მონაწილეთა კონსორციუმის წევრი, უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობით. ექსპერტებმა დაათვალიეს შემდეგი ელექტრონული უცხოური ინტერნეტ-რესურსები: Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core); IMF eLibrary (http://www.elibrary.imf.org/?redirect=true). სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მოიძიონ კვლევებისა და სწავლისთვის საჭირო უცხოენოვანი ჟურნალები, სტატიები, წიგნები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პერიოდულად ახორციელებს ახალი სასწავლო ლიტერატურის შეძენის პროცესს. ექსპერტების მიერ შერჩევით მოხდა სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში დათვალიერება.
სტუდენტები და პერსონალი სარგებლობს ელექტრონული სისტემის (www.emis.sdasu.edu.ge) საშუალებით, რომლითაც ისინი ინფორმირებულები არიან სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აქტივობების, შეფასებების, სასწავლო ცხრილის და სხვა საჭირო საკითხების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკის დებულება https://sdasu.edu.ge/ka/chven-shesakheb/normatiuli-baza;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა www.emis.sdasu.edu.ge;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება https://sdasu.edu.ge/ka/chven-shesakheb/normatiuli-baza.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ ნათელი წარმოდგენა მოგვცა პროგრამის ბიუჯეტის შესახებ. პროგრამის უზრუნველყოფისთვის წინასწარი ფინანსური გათვლებით შედგენილია ხარჯთაღრიცხვა, რაც ასახულია უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის 2019 წლის ბიუჯეტში. პროგრამის ბიუჯეტი ორიენტირებულია პროგრამის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის 2019 წლის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც რეგულირდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით და ,,საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მეთოდოლოგიით". მასში გათვალისწინებულია ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლი, რომელიც შრომის ბაზრის კვლევის, შემუშავებული

კითხვარების საფუძველზე ჩატარებული სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ახორციელებს პროგრამის გასავითარებლად საჭირო ცვლილებების დაგეგმვას და დანერგვას. პროგრამის შეფასების პროცედურებს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. ხროგრამის ხარისხის გაუმჯობესების საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება სამოქედო გეგმა. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია თვითშეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები, რომლებიც პროგრამების განვითარების, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, ფინანსური ეფექტიანობის ამაღლების და სხვა ღონისძიებების გატარებისკენ არის მიმართული. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნვეოყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად; პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“; ○ გამოკითხვის ფორმები და გზამკვლევები; ○ სტუდენტთა გამოკითვის შედეგები; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასებას ახორციელებს სსიპ- განათლების ხარისის განვითრების ეროვნული ცენტრი. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 18 ივლისის N 82 გადაწყვეტილებით ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. საბჭოს მიერ წარმოგენილი რეკომენდაციების საფუძველზე ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სამუშაო ჯგუფმა მოახდინა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის გადამუშავება. პროგრამაში შესულია შემდეგი სახის ცვლილებები: კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსი ,,კვლევის მეთოდები ბიზნესში", ხოლო კვლევის პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად - ,,მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ბიზნესში Excel-ისა და SPSS- ის გარემოში"; დაკონკრეტდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სილაბუსში ნაშრომის განმეორებით დაცვაზე დაშვების პროცედურის ჩანაწერი; განახლდა და დაემატა ინგლისურენოვანი ლიტერატურა მთელ რიგ სასწავლო კურსებში; სასწავლო კურსების სილაბუსებში დაკონკრეტდა ავტორი და ლექტორი; განისაზღვრა პრაქტიკის წინაპირობა; გამრავალფეროვნდა სწავლების მეთოდები, რეფერატების, პროექტების შესრულების და გუნდური მუშაობის კომპონენტების დამატებით; პრაქტიკის სილაბუსში დეტალურად ჩაიშალა შეფასების სისტემა და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 18 ივლისის N 82 გადაწყვეტილება;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშფასების კითხვარი და თნდართული დოკუმენტაცია;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;

პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სასწავლო კურსს სტუდენტები აფასებენ კითხვარების მეშვეობით. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- გამოკითხვის ფორმები;

○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა:35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გიორგი ღაღანიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკა ლეკაშვილი

მაია ჭინჭარაშვილი

ნიკა კიკნაძე